საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030137236446020

№ 01-205/ო **18 / მაისი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროტოკოლის სამმართველოს უფროსის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და საკონკურსო თემატიკის დამტკიცების თაობაზე

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესი“-ს მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროტოკოლის სამმართველოს უფროსის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო თემატიკა თანდართული დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპვასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე

„დანართი“

ადმინისტრაციის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროტოკოლის სამმართველოს უფროსის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო თემატიკა

1. ადმინისტრაციის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროტოკოლის სამმართველოს უფროსის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) **უმაღლესი განათლება** - ჰუმანიტარული მეცნიერებები;

ბ) **სამუშაო გამოცდილება** - საჯარო სამსახურში საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მუშაობის არანაკლებ - 3 წლის გამოცდილება;

გ) **კომპიუტერული პროგრამები** - (MS office Word, Excel, Power Point და Outlook) კარგ დონეზე ცოდნა;

დ) **უცხო ენა** - ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნა.

2. ადმინისტრაციის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროტოკოლის სამმართველოს უფროსის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
გ) საქართველოს შრომის კოდექსი;
დ) „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ე) „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ვ) „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ “ საქართველოს კანონი;
ზ) „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილება;
თ) საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებების თაობაზე ინფორმაციის ფლობა.